საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№12 / 2014

# „პეტიცია საერთო პრობლემების გადაწყვეტის საკითხში ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტია“

**მუხლი 86. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით**

**1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტს უფლება აქვს, მოამზადოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.**

**2. პეტიციის წესით საკითხი შეტანილი უნდა იქნეს წერილობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტისა.**

**3. პეტიციის წესით შეტანილ პროექტს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება, პროექტის ავტორის (ავტორების) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი.**

**4. კანონით დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.**

**5. მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შეტანილი პროექტი რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.**

**6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შეტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.**



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ეს ამონარიდია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან. თვითმმართველობის საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საკრებულოს წევრების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პეტიცია ერთ-ერთი საუკეთესო ინიციატივაა, მაგრამ რეალურად თვითმმართველობაში გამოყენება არ ან ვერ ხორციელდება. აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტიდან (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) არც ერთ საკრებულოში პეტიციის შეტანის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

„დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გენო გელაძე მიიჩნევს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა პეტიცია, თუმცა სამწუხაროდ მისი პრაქტიკაში გამოყენება, შეიძლება ითქვას, რომ არ ხდება. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი არსებობს. პეტიციის მომზადების, წარდგენისა და განხილვის პროცედურებს არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. 2010 - 2014 წლებში ამ საკითხს არეგულირებდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთ პროცენტს უფლება აქვს, მოამზადოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს პეტიცია, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს უწოდებს. ეს დასახელება დამაბნეველი რომ არ იყოს, საუბარია მარტივ პროცედურაზე: უნდა მომზადდეს საკითხი საკრებულოს დადგენილების ფორმაში. დაინტერესებულმა მოქალაქეებმა საკრებულოს უნდა მოსთხოვონ დადგენილების ფორმა და შეავსონ მათთვის აქტუალური საკითხის მიხედვით (საკითხის დასახელება, პრობლემის აღწერა, ინიციატივის აღწერა, ბიუჯეტზე გავლენა და ა.შ.).

პეტიციის წესით საკითხი შეტანილი უნდა იქნეს წერილობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი პროცენტისა.

პეტიციის წესით შეტანილ პროექტს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება, პროექტის ავტორების და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი.

კანონით დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შეტანილი პროექტი რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შეტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.“

გენო გელაძეს პეტიციის შეტანის ფაქტი არა მარტო აჭარის მუნიციპალიტეტებში, არამედ ბათუმის საკრებულოშიც არ ახსენდება. მისი აზრით მოქალაქეები პეტიციას „არაინფორმირებულობისა და შესაბამისი წარმატებული გამოცდილების არ არსებობის გამო არ იყენებენ.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ წარმომადგენელი ნუგზარ კეკელიძე პეტიციას თემში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს: „საქართველოს ორგანული კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის როლი. კერძოდ, „კოდექსის“ 86-ე მუხლით დადგენილი ნორმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთ პროცენტს უფლება აქვს, მოამზადოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს ნორმატიული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. პეტიციის წესით მომზადებული ნორმატიული აქტი თემში არსებული სოციალური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნული ნორმა განსაზღვრული იყო ადრე მოქმედი ორგანული კანონითაც, თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზაცია აჭარის რეგიონში არ მომხდარა. ვფიქრობ, ამის მიზეზი მოსახლეობის არაინფორმირებულობა გახლდათ.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო შეხვედრები ჩაატარა. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ შეხვედრებზე ერთ-ერთ საინტერესო საკითხად მოსახლეობა პეტიციას ასახელებს. მიუხედავად ამისა, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის მცხოვრებლებმა სოფელში ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნის მშენებლობის მოთხოვნით კოლექტიური თხოვნა/განცხადებით მიმართეს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელზედაც უარყოფითი პასუხი მიიღეს. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს პირველმაისელებმა, აღნიშნულ საკითხზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პეტიციით იმიტომ არ მიმართეს, რომ დიდი დრო სჭირდებოდა, მათი თქმით „ბევრი პროცედურული საკითხი იყო მოსაგვარებელი.“

ჯანგულ შაინიძე ხულოს მუნიციპალიტეტის, სხალთის თემის განმანათლებელი („ინტელექტის“ მიერ განხორციელებული პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში) იყო. ახლა საკრებულოს მაჟორიტარი წევრია. საგანმანათლებლო შეხვედრების დროს მოსახლეობამ პეტიციის შესატანად თემების ჩამონათვალი შეადგინა: ისინი აპირებდნენ საზაფხულო იალაღებზე ელექტროენერგიის შეყვანის მოთხოვნას პეტიციის წესით, ჰესების მშენებლობის საკითხის გადაჭრას და ასე შემდეგ. მათი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ექნებოდათ სათათბირო ხმის უფლება. ჯანგული დღემდე ელოდება საკრებულოში საკუთარი ამომრჩევლების პეტიციას და იმედოვნებს, რომ „ის შრომატევადი ტრენინგები უქმად არ ჩაივლის, ჩემი თემის მოსახლეობა მაქსიმალურად გამოიყენებს საგანმანათლებლო შეხვედრებზე მიღებულ ინფორმაციას. საკითხები, რომელთა პეტიციის წესით განხილვა სურდათ, დღემდე აქტუალურია.“

პეტიციას პერსპექტიულად მიიჩნევს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თეიმურაზ დუმბაძეც: „ეს არის კარგი სიახლე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. ცუდია, რომ პეტიციის ფორმა პრაქტიკაში შემოსული არ არის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის სამომავლოდ პერსპექტიული, მოსახლეობის მხრიდან საკითხების ჩართულობაში, თვითმმართველობაში მონაწილეობისათვის. მოსახლეობა ამ ფორმით თუ ჩაერთვება, ხელისუფლება მეტად იქნება დაკავშირებული მოსახლეობასთან, მათ შორის კარგი კავშირები დამყარდება.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ წარმომადგენელი, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ კოორდინატორი დავით არძენაძე, პეტიციის პრაქტიკაში გამოყენებით მოსახლეობის გაერთიანებას ვარაუდობს: „საკრებულოში პეტიციის შეტანა, მოსახლეობის საერთო პრობლემის ირგვლივ გაერთიანებას ნიშნავს, რაც ძალიან კარგია სოფლის, ან თემის პრობლემების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. პეტიციის ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი ისიც არის, რომ შესაძლებელია საკრებულოს სხდომაზე საკითხის ინიცირება რიგითმა მოქალაქემ მოახდინოს, რაც მომავლის – საკითხის დადებითად გადაჭრის რწმენას განუმტკიცებს და მეტად დააინტერესებს მოსახლეობას ჩაერთოს ადგილობრივ თვითმმართველობაში. ვფიქრობ, პეტიცია საერთო პრობლემების გადაწყვეტის საკითხში ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტია.“

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე**

**მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13**
**ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50**
**ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge**
**ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge**